

1960

7

სპი მარჯვ ბ 14, 24
მარჯვ ბ 24



საბჭოთა
ხელოვნება

მთავარი რედაქტორი—ოთარ მგაბე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი,
გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი,
ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე,
ვანო წულუკიძე (პ/მზ. მდივანი).

საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო




7

საბელმფივო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი

1960



Հ. Թ. Ն. 0330
ՅԵՐԱԿԱՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



ნა კანუშოვი

ბაშის გორაკზე



ლენინი და ხალხური მუსიკა

პროფ გრიგოლ ჩხიკვაძე



რავალერიან საბჭოთა ქვეყანაში, სხვებთან ერთად, ქართველმა ერმა სიამაყის გრძობით უმეორა განახლებულ ცხოვრებას და მთელი სიხალადით წარმოვიდგინა ახალი ერა თავისი წინარსებობის შინაარსით.

ხალისით აღსავსე თანამედროვე ქართულ ხალხურ სა-სიმღერო შემოქმედებაში ნათლად არის ასახული მუშისა და გლეხის დღევანდელი ყოფა, შემოქმედებითი შრომის პათოსი, გიგანტური მშენებლობა, ინტელსტრუქციული ქალაქი, საკოლმეურნეო სოფელი, საბჭოთა არმიის დეკვირული ვაკეცობა, დიდ სამამულო ომში მოპოვებული გამარჯვება, მშვიდობისათვის ბრძოლა.

ქართულ საბჭოთა მუსიკალურ ფოლკლორში თავსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელი ცაკნობობის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის დაულაღვი მებრძოლის, ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი მიძღვნილ სიმღერებს, რომლებშიც მადლიერი ხალხი ამკალებს წრფელ სიყვარულს ბრძენ მასწავლებლისადმი და მხატვრულად ასახავს მის მოღვაწეობას.

აღსანიშნავია, რომ ლენინს, როგორც რევოლუციური მოძრაობის მეთაურს, ქართველი პროლეტარიატი ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში იცნობდა. თავის მხრივ ლენინმა კარგად იცოდა, რომ ქართველი მუშები და მათთან დაკავშირებული მოწინავე ინტელექციონა აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ 1905 წლის რევოლუციის მოსამადგებლ პერიოდში. მართალია, ვ. ი. ლენინი იმ ხანად ემიგრაციაში იმყოფებოდა, მაგრამ თვალყურს ადევნებდა მეფის რუსეთში მომხდარ მოვლენებს და მუდამ საქმის კურსში იყო. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოში დაწყებულ სახალხო მოძრაობასაც.

როგორც ცნობილია, ვაჟთ. „Вперед!“-სთვის (რომელიც იმ პერიოდში ყენევამი გამოდიოდა და რუსეთში არალეგალურად გრცელდებოდა) დასაბუდდა გამზადებულ მასალებში ლენინი ეხებოდა რა პეტერბურგში მომხდარ ცარიზმის საწინააღმდეგე გამოსვლებს, ხაზგასმით აღნიშნავდა: „დაწყეთ გაფიცვა თბილისში (20 იანვარს). იგი გავრცელდა ბ ა თ შ შ ი“ (ვახაზოლია ლენინის მიერ).

მიუხედავად იმისა, რომ ლენინი საქართველოში არ ყოფილა, იმ ურთიერთობის მოცემბით, რომელიც, მუშათა რევოლუციის მოძრაობასთან დაკავშირებით, ლენინსა და ქართველ მშრომელ მასებს შორის XX საუკუნის პირველ წლებში დამყარდა, ხოლო შემდგომი თანდათან უფრო განმტკიცდა, — ქართველი მუშები და გლეხები ახლო გაეცნობნ ამ ბუნებრივი პიროვნების მოწინავე აზრებს, მის მისწრაფებებს და მისივე მეთაურობით ადრევე ჩაებნენ ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ამავე პერიოდში ჩაისახა ცარიზმის კოლონიალური პროლეტარის წინააღმდეგ მიმართული ქართული ხალხური რევოლუციური სიმღერები, რომლებიც თანსდევდა მიტინგებს, აჯანყებებსა და ქუჩებში მიწყობილ დემონსტრაციებს.

ძველი მუშა-ბოლშევიკი ვანი სტურუა თავის მოგონებაში წერს, რომ 1900 წელს საძალადგში (ამჟამად ლენინის რაიონი) მოწყობილი საპირველბანის მიტინგის შემდეგ ხალხი დაიშალა თვითმართებლობის წინააღმდეგ მიმართული სიმღერით „ნეტა რას სტერი, დღელი“.

რევოლუციური მოძრაობის ზრდის ბარალედურად

იზრდებოდა საბრძოლო ლეკებისა და სიმღერების მობოზიონობა, განსაკუთრებით, მუშათა წრეებში. ამის გამო, ხანამ ქართული რევოლუციური სიმღერები შექმნებოდა, მაგრამ ქართულში თანდათან გავრცელდა რუსეთიდან შემოტანილი საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული და მოწოდების ხასიათის რამდენიმე სიმღერა. მათი უმრავლესობა ქართული ნათარგმნი ტექსტებით სრულდებოდა. ასეთებია „Смело, товарищи в ногу“ („მებრძოლო, მწყობრად“), „Отречемся от старого мира“ („ზურგი ვაკეთით ბეღს ადით-წყებებს“), „вы жертвою пали“ („თქვენ, ძველის ბრძოლაში“), „Варшавянка“ („ვარშავილი“), „Мы, кузницы“ („ჩვენ ვართ მჭედლები“), „Марш коммунар“ („კომუნარების მარში“), „Ты, взожди солнце красное“ („მზეო, ამოდი, ნათელი“) და სხვ.

საკულისხმავია, რომ ამჟამად პირველი ოთხი სიმღერა, რომლებიც მალე მრავალი ქვეყნის პროლეტარებას წამდვილ მიძენდა იქნენ, ლენინის საყვარელ სიმღერებად არის ცნობილი. ცალკე გამოყოფთ ბუტირსკის ციხეში კრიკიანოვსკის მიერ თარგმნილი რუსული ტექსტით გავრცელებული ბოლშევიკ რევოლუციური სიმღერა „ვარშავილი“, რომელსაც, ციმბირში გადასახლებული ვლადიმერ ილიას ძე, მინიარე იესისი ნათარგმნა. სხვა გადასახლებულებთან ერთად, ხშირად დღეროდა.

როგორც ცნობილია, ლენინის მოძღვრების გავრცელებას საქართველოში ხელს უწყობდნენ მისი ერთადერთი მოწაფეები იოსებ სტალინი და ლალო კეცხოველი. მათი ინიციატივით დაარსებულ ბოლშევიკურ გაზეთში „ბრძოლა“ და აგრეთვე ამავე პერიოდის ცნობილ გაზეთებში — „ახალი დროება“, „ჩვენი ცხოვრება“, „განათიად“, „დრო“ და სხვ. ხშირად იმტვლებოდა ირ. ევდოშვილის, ნ. ზომბოვილის, გ. ქუჩიშვილის, ნ. ჩხიკვაძის რევოლუციური ლექსები, რომლებიც შემდგომი საფუძვლად დაედო ქართულ რევოლუციურ სიმღერებს.

მათ შორის უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა მუშათა წრეებში და სწრაფად გავრცელდა ხუთი სიმღერა — „მეგობარო, წინ-წინ გასწიო!“, „ძმებო, დრომა გაიმალა“, „საპირველბანის“, „არსენ ჯორჯიაშვილი“ და აგრეთვე „სადაც არის გათვლებია“. ეს სიმღერები ფრიალ უწყობდნენ ხელს მუშების, გლეხების და მოსწავლე ახალგაზრდების დარაზმვას და, საერთოდ, სახალხო მოძრაობაში ფართო მასების ჩაზმას. პირველ ოთხ სიმღერაში მოხერხებულად არის გამოყენებული ქართული სოფლური და ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ძველი ნიმუშები, ხოლო „სადაც არის გათვლებია“ ცნობილი სახალხო მომღერლის აზიარას მშენებლის წარმოადგენს.

მებრძოლ მუშათა და გლეხთა ეს სასიმღერო რეპერტუარი წინ უძღვდა ქართულ საბჭოთა ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას. ამავე სიმღერებით შეგებნენ საქართველოში ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც დიდი ზედაღის ვ. ი. ლენინის მეთაურობით გაიარაჯვა. ამიტომ საცხებო ბუნებრივია, რომ თავისუფლდამოპოვებულმა ქართველმა მშრომელმა ხალხმა ადრეთიანებით უმღერა ლენინს და ამით თავისი მადლობა და სიყვარული გამოხატა ამ დიდმშრომელთან აღმართისადმი.

თავის მხრივ ლენინი დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა ხალხური შემოქმედების ყოველ

1 ქურ. „Смена“, 1948 წ., № 16, გვ. 4.



ჯანრს — ზღაპარს, თქმულებას, არაკებს, ანდაზებს, ებოსს და მაკალ შეფასებას აძლევდა მათ. განსაკუთრებულ სიმპათიას ანაღვავებდა ლენინის ხალხური სიმღერებისადმი; მას კარგად ესმოდა მისი მშობლიური ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე. ცნობილია, რომ თავისუფალ დროს, უფრო სწორად, თავისუფალ საათებში, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა მის დაბალეულ ცხოვრებაში, ლენინს უყურად ხალხური სიმღერის მოსმენა; ეს მას დიდ სიამოვნებას ჰპვრიდა და შემდგომი მუშაობისათვის ენერჯისა და ხალხის მატებად. ლენინს უფრო იზიდავდა სევდიანი სიმღერები, რომლებშიც მთელი სიამყარებით იყო გამოთქმული გლეხკაცის გულის ნადები, ერთი მხრივ — შიმშილ აწყყო, ხოლო მეორე მხრივ — ბედნიერი მოპაველის იმედი. ამ მხრივ მის ყურადღებას იქცევდა რუსული ხალხური მუსიკალური შემოქმედების საკმაოდ თვალსაჩინო სასიმღერო ნიმუშები — „Узник“ (ა. პუშკინის ტექსტზე), „Ермак“ (კ. როლევსის ლექსის მიხედვით) და ფართოდ ცნობილი სიმღერები „Дубинушка“, „Есть на Волге утес“, „Нелюдимо наше море“, „Славное море — священный Байкал“.²

მთელი ეს უზარმაზარი სიტყვიერი და მუსიკალური მასალა თავისი მდიდარი და მრავალფეროვანი შინაარსით ლენინს ხალხის ფსიქიკის შესწავლისათვის, მისი ზრახვების ამოსაკეთხავად, უჭირფრისას საუხვედ მიარჩნდა. ფოლკლორის ასეთი დიდი მნიშვნელობა ლენინს თავის ნაწერებში არაერთხელ აღუნიშნავს. მისი დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი ნათლად ჩანს ცნობილი რუსი მოღვაწის ე. წ. დობროვოლსკის მიერ შედგენილი „სმოლენსკის ეთნოგრაფიული კრებულის“ შესახებ გამოთქმული შეხედულებიდან.

„რა საყურადღებო მასალაა... ნაჩქარევად გადავავლე თვალი აი ამ რუკებს, მაგრამ მაინც ვხედავ, რა აკლია. ცხადია — ხეივა ან სურვილი, ყოველივე ეს განსოვადო და სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით განიხილო. ამ მასალაზე შეიმდგებოდა ხალხის იმედიანი და მოლოდინის შესახებ შესანიშნავი გამოკვლევა დაწერილიყო. ხედავ ე. წ. ანუკოვის ზღაპრებს, რომელიც რე ვადავთავადიერე, აქ ხომ საუცხოო ადგილებია. ბი რაზე უნდა მივაქმეცია ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსების ყურადღება. ეს არის ანაღვნი ხალხური შემოქმედების სურათი და მნიშვნელოვანი ხალხთა ფსიქოლოგიის შესწავლისათვის ჩვენს დროში“.

მაგრამ ლენინი ხალხს უფრო უკეთ თავისი პირადი დაკვირვებით იცნობდა. როგორც ხალხის შვილი და მისი უტოლთადესი მოჭირნახულე, იგი კარგად იყო გარკვეული ხალხის ყოველდღიური ცხოვრებაში, ღრმად ჰქონდა შესწავლილი მიწისა თუ ქარხნის მუშის გულის ტკივილი, და ავი ამიტომ მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ლენინმა მათი კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარა.

ასეთმა მზრუნველობამ დიდი გამოხმაურება მოჰყვა მშრომელთა მასაში, რომელმაც თავის ლექსებსა და სიმღერებსში აღებუდა ლენინის ჰუმანიზრობა, უზრალეობა, გულსმხიერება, მისი მებრძოლი სული, მტკიცე ნებისყოფა, შორსმჭერტელობა და ამით ხალხის ქომაგსა და ბრძენ მასწავლებელს, აუგო ხელთუქმნელი მეგობი, უკუყვამო მისი სახელი.

მადლიერმა ქართველმა გლეხმა ლენინს „ხალხის ბედის გამსწენელი“ უწოდა. ეს ხატოვანი გამოთქმა გვხვდება ლექსში „თქმულება ლენინზე“, რომელშიც დედა შვილს ასეთი სიტყვებით მიმართავს:

გულს ჩაინერგე ეს სიტყვა, — უცვდავი ლენინი არის
შვილი, გაჩრდილი დედისა, გამსწენელი ხალხის ბედისა.

თანამედროვე ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში თავისი უშუალოებით გამოირჩევა ერთმნიანი საფანდლორი სიმღერა „ქვირფას ლენინს“, რომელშიც გამოხატულია ხალხის რწმენა, რომ გლეხკაცმა, სოციალიზმის გზაზე და ლენინმა დააყენა“. მრავალი ავტორების ვადამტანი მუახნის მგოსანი-მომღერალი ალექსი ხუციშვალი, ახალი ყოფაცხოვრებელი განახლებული და საბოლოოდ დაიმედებული, რომ ვადაყვდა მისი ბუდი, მომართავს ფანდურის ლარებს და ზედ ამყავდ ამღერებს:

მე მაინც იმედ მაქვს,
ჩვენივეს იქნება შველა,
კლდე ვერ გაუძლებს შავარი,
რომ აღელდება ყველა.
თავისუფლების ნიაჟა
ნელ-ნელა დაუბერაო,
სულ გადიარა ღრუბელი,
მტარვალმა ვანსვენაო,
მსხვერპლი ვაგზანა უფსკრულში,
ზედ მუშა დააყენაო,
შემაანაო სხივებმა,
მუშები დააშვენაო.
მუშისა და გლეხისა
ქვეყანა ვააშტერაო,
სოციალიზმის ვაგზანა
ღრინნა დააკვეთაო.

ბოლოს გამოთქმამს რწმენას, რომ სოციალიზმის გზა სიმართლის გზაა, რომელიც მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს:

მივდივართ სიმაართის გზაზე,
ვირავინ შევადიერებხო;
ვინაჩვენებთ მთელ მსოფლიოში,
ვაშა დიდ ბედულ ლენინსო!

ამ თანამედროვე ლექსის მუსიკალური ამტყველებით-სათვის დამოყენებულია ძველბურთი საფანდლორი სიმღერა თავისი დამახასიათებელი მელოდი-ინტონაციებით. სიმღერა, რომელიც თითბატკინაი საფანდლორი შესავალი იწყება, მარტივი ფაქტურისა და კოპლეტური ფორმისაა. საცქეკაო რიტმში მოცემულია მელოდიანი სექსტის ფორგლებში ვითარდება და დამაგალი მომართობით ტონიკისაკენ მიიმართება. განწყობილება, პოეტური ტექსტის მსგავსად, ხალისიანია.

აღსაზრდოა ლენინსა ჩემს დასად და ვადალიო. შა ვადლიო

მუსიკალური სტრუქტურით ამ სიმღერის ეხმარება მთიულები სოფელ სულბაში ჩაწერილი საფანდლორი სიმღერა „გლეხის სინარული“.

...ბევრი ვერ წამოზრდება
ლენინთანა მშლევრია,
გლებზე აუარა მონობა,
წალზე შავაგაა მშალია,
დაჟკარიო აწნარება,
დაჟაფთო როგორ მშალია,
მაგათ მონები ვიყავი,
ტანზე ვაგავარბს ტუათია.

ხშირად ხალხი ლენინს ვარსკვლავსა და მზეს ადარებს,

3 ნაწერილია ნ. ჩიკოვძის მიერ ღმუშეთის რაიონის სოფ. უბანში.

² ეს სიმღერები შესულია კრებულში „Любимые песни Ильича“, 1900 წ. გამოცემულბა „Советская Россия“.

მაგრამ — ლეონი მარტო დღისით ანათებს, ხოლო ლენინი დამითაც მუე არი“. თუ მუის სხივებით მხოლოდ სხეული თმებოდა და „სული კი იყინებოდა“, რის გამო „მუშა უმწეოდ კვდებოდა“, —

ლენინის სხივი გულსა
და სულის სიღრმეს წავლენი,
მოვყარეს განსაყარავად,
მტერს ლახვარებით ხვდებთან.

ამვერად, ხალხის შეგნებაში ლენინი, თავისი გულისხმიერებით, სიბოხის, სინათლისა და სიციფხლის დაუმრეტელი წყაროა.

თანამედროვე ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედელი ლენინზე შექმნილი სიმღერებით, მისი გარდაცვალების შემდეგ, უფრო მეტად გამდიდრდა. ლენინის სიკვდილის შემდეგ, ევგენის სისწრაფით რომ მოვლდ მსოფლიოს, მშრომელთა მასებში დიდი მწუხარება გამოიწვია. ხალხის ეს გულისწეული ლაკინიურად და ღრმა განცდით არის აღბეჭდილი შემდეგ გამოქვეყნებულ:

„მაცნე მოვიდა რუსეთით —
ლენინი გარდაცვალო!
თავში დამეცა ბურჟოლი,
ფეხამდე გამიარაო!..“

ხალხის გლოვა-წუხილის გამოხატელობა აგრეთვე კახური სიმღერა „გარდაიცვალა ლენინი“. შექმნილი ახალგაზრდა მწეყმისა. მის მწეხარე გულს უფრო მეტად ასევე დანაენებს „ღამით დღეილი მგლისა“. ნუგეშს იგი მხოლოდ სიმღერაში ბოლოებს. ააუღუნუნებს ფანდურს, ჩამოთოვნი ლექსი და გვიზიარებს თავის გულის ტყივლად:

...რუსეთის წერილ მივიღეთ,
ამხავი მოვიტანაო, —
გარდაიცვალა ლენინი,
ჩვენი მოღვაწე მამაო,
რომელმაც ახალ ცხოვრებას
საძირველ ჩაუყარაო...

ამ სიმღერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბოლო სტრიქონები, რომლებშიც მუსიკისწინავე არის გადმოცემული ზუნების გლოვა:

... მაღლა მოაშინა ზენება
ტოტები ჩამოხანაო,
ფრინველთ შაწევეტება გალობა,
იმათაც ივრძენა, განაო
ძია ლენინი თუ მკვლეა,
არ ვგვჯერა, არა, არაო!

სიმღერის მელოდირი ხაზი მღერადია, ამასთან ემოციური, დაძაბული და სასუსებით ესატყვისება ღრმა განცდით გამოთქმულ ლექსის შინაარსს. საფანდურით თანხლებილი მელოდირი აქვს ტრადიციული ხერხი — მშვიდი სამხმოვანი აკორდებით მიკვებება მთავარ მელოდისას. ეს სიმღერა თავისი ზუნებით ცალკეიანი საფანდური სიმღერის მკაფიო ნიმუშია, თუმცა წამყვან მელოდისას როგჯერ ემატება მეორე ხმა, რომელიც განხლები ბანის ჩოვას ასრულებს და ფანდურთან ერთად სიმღერის ფონს წარმოადგენს.

მაგრამ დიდი ბელადის სიკვდილს სასოწარკვეთილება როდი გამოუწევია. ხალხს სწამდა, რომ ლენინი უკვდავია და მისი სოვნება ხალხის გულში მარად იცოცხლებს, გადავან ლენინის „მცნება წინ მიუძღვის“ კაცობრიობას და ბრწყინვალე მომავლისაკენ გზას უკავფავს. ამიტომ არის, რომ ლენინის სხვისისადმი მიძღვნილ სიმღერებში სევდას და უიმედობას ვერ ამოვიკითხავთ; პირიქით, თითოეული

მათგანი მოუწოდებს უფრო მჭიდრო შეკავშირებისა და დარაზმებისაკენ, რათა საბოლოოდ განამტკიცონ „სამეფოსა“ წყობილება. ამანვე განაპირობა ამ სიმღერების მედგარი ხასიათი.

დიდი პოპულარობით სარგებლობს გურული სიმღერა „ლენინის სსოვნას“, ჩაწერილი მხარბას რაიონის სოფ. კახურში და სულაზრდა მუსწაველით ათვისმქმედელ გუნდისაკენ. ტექსტი გადმოცემულია ლენინის მხნეობა, გულალობა, დაკვირვებელი მუშაობა, მისი სოციალისტური იდეების ცხოველყოფილება:

ლენინ, ოქტომბრის ბელადო,
შენ არა ხარ ჩვენთვის მკვდარი,
მთელ მსოფლიოს გააღვიძებს,
შენგან შემოკრული ზარი.
მართალია, მკვდი ლენინ,
ულრთვოდ დაუშე თვალი,
მარამ შენი საქმეებით
ხარობს შენი მომავალი.
შენ იყავი მწეწე, გულადი,
დაკვირვებით მუშის მკველი,

მკავრელების კლანჭებიდან
ტანჯულად ხალხის გამოხსნადი.
შენით ხარობს წითელი რაზმი,
წინ მიუძღვის შენი მცნება;
კომუნაზმი ჩვენ გვიღობს,
მტრები წელში იყავება.
კომუნაზმის გამარჯვება
განამტკიცებს მუშის გულსა. —
გაუმარჯოს წითელ დროშას,
ლენინაშით მოკარგულსა!

ეს სიმღერა აგებულია მკვეთრი რიტმზე და ფართოდ გაშლილ მელოდირი მოძრაობაზე ყველა ხმაში, ამასთან გამოირჩევა რთული ფაქტურით და მუსიკალური გამომონახველობის მედღარი ხერხების ოსტატური გამოყენებით. სიმღერის შესრულებისას ლექსს წამმდგარებული აქვს ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი შეძახილები „ვარუდილა“, „ვადილა“ და სხვ. ამას მხოლოდ ბანების დამწეუბი ჯგუფი ასრულებს. შემდეგ მათ უერთდება მთელი გუნდი, რომელიც მღერის მთავარ ტექსტს და რომელსაც გურული მუსიკალური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სიმკვირცხლით, ხმა-

წმინდა



თა კონტრაპუნქტული შეხამებით და დაუღვევარი მოძრაობით მიაყვას ბოლოდღე ყოველი კულტეტი. დამთავრებისას სიმღერა კვლავ უბრუნდება თემატიკულად ყველა ხაზში, რაც მის ორიგინალურ სწავლას წარმოადგენს. პირველ ხაზში შეიმჩნევა აგრეთვე კრიანძის ელემენტები პირველი ორი ტაქტის მანძილზე.

საულისხმია, რომ სოფლად მღერთან აგრეთვე ქალაქიდან თვითსულ ლენინზე დაწერილ პროფესიულ ნაწარმებზე. მათ შორის დიდი პოპულარობა მოიპოვა ცნობილი ლიტერატორის ზაქ. ხატიაშვილის მიერ გ. ციმბირელის ტექსტზე დაწერილმა საგუნდო სიმღერამ „მოკვდა ლენინი“, რომელიც ხალხური ვარიანტების სახით სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოში. ამას ხელი შეუწყო ერთი მხრივ ლექსმა (თუმცა მხატვრულად ნაკლებ გამართლმა), რომელიც თავისი შინაარსით და მებრძოლი ხასიათით ხალხის სულისკვეთებს უპასუხებდა, ხოლო მეორე მხრივ მუსიკის სინარტივემ და ფართო მასშტაბის მისაწოდებლობამ.

მუსიკალური აღნაგობის მხრივ ეს სიმღერა ორი მთავარი მუხლისაგან შედგება. პირველი გამოვლენებს ლექსის შინაარსს, ხოლო მეორე რეფრენის სახით არის მოქმედული და აგებულია მოწოდების ხასიათის ტექსტზე:

„მა მძებო, წინ, მდებარე კომუნისმისათვის,
გავწიროთ თავი ლენინისმისათვის!“

რეფრენი მოსდევს ლექსის ყოველ კულტეტს და მეორედ აღწევს.

სიმღერის სიუჟეტი გამოვლენებს ორ განწყობილებას — ლენინის გარდაცვალებით გამოწვეულ ხალხის გლოვას, რომელსაც უპირისპირდება მისი მზახყოფნა მშრომელთა რიგების გასამტკიცებლად:

მოკვდა ლენინი, სტირის ქვეყანა,
ახელი გმირი იშვება განა?..
და დღეს თუ ვკლავთ, თან ვამტკიცებთ რიგებს
და ამით შევასრულებთ მამის დაწაბრებას.

სიმღერა მთავრდება ფიცით, — განგვარძობთ მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას:

და დღეს ცოცხალს ვიცხად ვხვდებით ერთხმად,
რომ მტრის წინ უშობრად ვიბრძობდებით მებრძად.

მართლაც, ეს სიტყვები ლიტონი არ გამოდგა. ხალხმა თავისი ფიცი პირნალად შეასრულა — დღეს, ბრძენ ბელადის გ. ი. ლენინის დაბადების 50 წლისთავს საბჭოთა სახელმწიფო დიდი ზეიმით ეგებება. და ამ სახალხო ზეიმს უერთდება აგრეთვე მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა.

აკვარის არალეგალური სტამბა

ანატოლ კოჩინაშვილი

არქიტექტურის კანდიდატი

თბილისში, 26 კომისიის სახ. რაიონში, დგას პატარა სახლი. ეს სახლი 1937 წელს ხელმეორედ აშენდა. წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდე აქ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავღაბრის არალეგალური სტამბა იყო მოთავსებული. გვინდა მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს ამ სახლის ორჯერ აგების ისტორია¹.

მიმდინარე საუკუნის დამდეგს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა დაერსებია არალეგალური სტამბა თბილისში.

1903-04 წლებში არალეგალური სტამბისათვის შენობის აგება დაეკისრა რსდმპ წევრთა ჯგუფს. მშენებლობის ორგანიზაცია თავს იღვავ პროფესიონალმა რევოლუციონერმა მიხო ბოჭორიძემ. მის გარდა, სამშენებლო ჯგუფში შედიოდნენ რკინიგზის სახელოსნოების მუშა დავით როსტომიშვილი, დურგლები — ძმები სანდრო, მიხა და ვანო ჩოღრიშვილები, კალატოზები — ძმები მირიან და თედო მალრაქიძე.

თბილისის ქალაქის თვითმართვებლობაში დავით როს-

ტომიშვილმა შეიტანა განცხადება თხოვნით — ნება მომეცით ავღაბარში, კასპის ქუჩაზე, რკინიგზის მახლობლად რვაოთახიანი ერთსართულიანი სახლი ავაგო.


ეს ადგილი შემთხვევით როდი იქნა არჩეული. ის მიხერხებული იყო როგორც კონსპირაციული თვალსაზრისით, ისე იმ მხრივაც, რომ მატარებლების მიმოსვლის ხმაური დახმობდა სტამბის მანქანის ხმას. განცხადებას დათვლილი ჰქონდა სახლის პროექტი, მახხუდაგოვის მიერ ნაქმარეად და უკლასიფიკაციოდ შესრულებული. მიუხედავად ამისა, ქალაქის თავმა მთავარი არქიტექტორის ფრხოხლი რეზოლუციის საფუძველზე 1903 წლის ოქტომბერში პროექტი დამტკიცა.

როგორც ჩანს, პროექტის ტექნიკური არასრულფასოვნება არ იწვევდა იმის ეჭვს, რომ სახლს პოლიტიკური ჯგუფი აშენებდა.


ქალაქის თვითმართვებლობამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა სიფრთხილე და როსტომიშვილს ჩამოართვა ხელწერილი: „პირობას ვებმ მშენებლობა განახორციელო ამ პროექტის მიხედვით, მასში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე“.

დაიწყო სტამბის აგება. უნდა ითქვას, რომ მთელი სამშენებლო სამუშაო შესრულდა არა დამტკიცებული პროექ-

¹ ბევრდროს სიტყვის დღესთან დაკავშირებით რედაქციამ სთხოვა არქიტექტორ ა. გ. კოჩინაშვილს კურნალის მკითხველთათვის მოეხიროთ, თუ როგორ მუშაობდა ავღაბრის არალეგალური სტამბის რესტავრაციაზე. მასალა ქვეყნდება პირველად.



ჩრტავრავრის პროექტის გენერალური გეგმა.



ჩრტავრავრბებულ სტამბის ფასადი.

ტის მიხედვით, არამედ სრულიად უპროექტოდ. ამის შესაძლებლობას იძლეოდა მშენებელთა მაღალი კვალიფიკაცია და ეს მოსახერხებელიც იყო კონსპირაციის თვალსაზრისით. თანხები მშენებლობაზე მიდილია მიხორ ბოჭორიძის მეშვეობით. საარქივო მასალაში ხარჯთაღრიცხვის და ფულადი დოკუმენტების არავითარი კვალი არ ჩანს. მასალებს კერძო პირებისაგან იძენდნენ.

სამშენებლო ჯგუფი მუშაობას შეუდგა 1903 წლის სექტემბერში. მას შემდეგ, რაც საძირკველი ღია ორბოში ჩადეს, მუშაობაში ჩაებნენ კალატორები — თედო და მირიან მალრაძეები. დაიწყო კონსპირაციული და ტექნიკური მხრივ მშენებლობის საასუსნისმგებელი ეტაპი. ეს სამუშაოები ოთხ დღეში დამთავრდა, აუცილებელი იქნა კედლები და თალი. თაღზე დაყრილი იქნა 1,5 მ. სისქის მიწის ფენა. ამგვარად ორბომ მიიღო ერთსართულიანი სახლის ჩვეულებრივი სარდაფის სახე. ამასობაში ჭის ამოყვანის სპეციალისტებს დაევალებათ გაეთხარათ ჭა სახლის სამხრეთით, მაგრამ სახლის პატრონმა (ამ შემთხვევაში დ. როსტომაშვილმა) სამეურნეო თვალსაზრისით მოუხერხებლად ჩათვალა მისი მდებარეობა და მეორე შეთანხმების საფუძველზე მოითხოვა გაეთხარათ ჭა უფრო აღმოსავლეთით, როცა ეს სამუშაოც შესრულდა სამშენებლო ჯგუფმა დამით ორი ჭა გასასვლელით შეაერთა, ჭის ფსკერიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე. ასეივე გასასვლელით იქნა შეერთებული პირველი ჭა სტამბის სათავსოთან.

ყველა ეს სამუშაო გულდასმით იყო კონსპირებული. მიწა ამოქონდათ ტომრებით და ყრიდნენ სახლიდან ძალზე დაშორებით. № 1 ჭის გამოსასვლელები გადახურული იქნა და მხოლოდ ამის შემდეგ სპეციალისტებს დაევალებათ მიწით ამოყვასთ № 1 ჭა, ვითომდა როგორც ზემდგომი, არასაჭიროა.

ამით დამთავრდა სტამბის კონსპირებული ნაწილის მშენებლობა, ხოლო დანარჩენი სამუშაო — სახლის მშენებლობა (ორი ოთახი აიგინათ) 1904 წლის იანვრის ბოლოს. ამრიგად, ყველა საპროექტო და სამშენებლო სამუშაო ხუთ თვეში დასრულდა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის არქივში ინახება ცნობა იმის შესახებ, რომ მშენებლობის სურდათ სტამბის ქვეშ კიდევ ერთი ოთახის აგება. განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვან საქმეთა გამოძიების მოხსენებით ბარათში პროკურორის სახელზე ნათქვამია: „მიწისქვეშ სათავსოს ქვეშ აღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი მიწისქვეშა ოთახი, მაგრამ იგი ერთი არზინის სიმაღლეზე წყლით დაფარული აღმოჩნდა.“


უქმველია, თავდაპირველად სტამბის მშენებლობა დიდი მასშტაბით ყოფილა განზრახული. მშენებლობის ინიციატორებს სურდათ რვა ოთახი და სამზარეულო სტამბის მუშაკთა ლეგალურად საცხოვრებლად, ხოლო რამდენიმე მიწისქვეშა სათავსო — სტამბისათვის.


რატომ შეუკეტეს დამპროექტებელს ორთახიანი სახლი რვაოთახიანის ნაცვლად? ეს გააიანფებდა და, რაც მთავარია, არ გაართულებდა სახლის უპროექტოდ მშენებლობას. სახსრების სისტემატურმა ძებნამ, მშენებლობის ვადის განსაზღვრულობამ ამ საქმის ორგანიზატორები აიძულა რვაოთახიანი სახლის პროექტი შეეცვლათ ორთახიანით.

თვით სტამბამ მუშაობა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე სახლი მთლიანად აშენდებოდა. მოწყობილობანი და ინვენტარი მოტანილი იყო სტამბის გადახურვისთანავე და ჩაშვებული ლიუკში, რომელიც დატოვებული იყო თაღის საკეტში. რის შემდეგ ლიუკი დახურული იქნა.

თავისი ხასიათით იშვიათი ეს მშენებლობა მკაფიოდ შეტყველებს იმაზე, თუ რა თავდადებით იღვწოდნენ სტამბის მშენებლები და ორგანიზატორები. „ავღაბრის არა-


ფასადების პროექტების პირველად ჩამოყვანილებული პროექტი.





სტამბლის ტერიტორიის ვენერაულური ვეგმა (1936 წ.)

სტამბლის მიწები — მიწისქვეშა ვასასვლელის ვერტიკალური კრილი,



ლევალურ სტამბას ჩვენ ვაშენებდით იმის ღრმა რწმენით რომ შირის ადარ იყო ის ღღე, როცა მუშები ხელში აიღებდნენ ძალადღებებს და ყველა მშრომელს ბედნიერ ცხოვრებას შეუქმნიდნენ“. (ა. ი. ჩორღიშვილის მოგონება).

სტამბის აღდგენა 1936-1938 წლებში

როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ ააფეთქა და შემდეგ გადაწვა სტამბა. საქ. კმ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1936-38 წლებში მოხდა მისი რესტავრაცია. ამ სამუშაოთა ისტორია ასეთია:

1936 წლის იანვარში თბილისის საქალაქო საბჭომ დაამალა შემედგინა ავლაბრის არალევალური სტამბის რესტავრაციის პროექტი. ეს თითქოს პატარა სამუშაო გადაქცა საინტერესო არქიტექტურულ ამოცანად.

როდესაც ეს უბანი პირველად დავთვალე იერე, ქუჩის მხრიდან იგი შემოფარგლული იყო ფიცრის ძველი ღობით. შიგნით მიწის ნაკვეთი დაყოფილი იყო პატარა ნაწილებად, რომელთაგან ერთს, ჩრდილოეთით მდებარეს შემორჩენოდა აღრინდელი სახე. დანარჩენი ფართობი გამოყენებული იყო სახლის პატრონთა სამუშაო საჭიროებისათვის. ფარდული ვარდა, ყველაფერს დაკარგული ჰქონდა დოკუმენტის ღირებულება. ნაკვეთის ჩრდილოეთი მოედანი — თვით სტამბის ადგილი, საკმაოდ ზუსტად არის გადმოცემული ნახატებში. აფეთქებას და გადაწვას გადაურჩა სტამბის აგურის კედლები 1,5 მეტრის სიმაღლეზე, ნაწილობრივ აგურის იატაკიც. შესასვლელი სტამბაში, ორი კუბ, მათ შუა გასასვლელი, ფიცრის ფარდული კის ზემოთ, ფიცრისავე ფარდული, სადაც ნაპოვნი იქნა ყუმბარები.

აფეთქებისაგან დაფარული კუბა და აგური ორ ადგილას იყო მოგროვილი და უფრო გვიან იქნა შეზიდული.

იმის გამო, რომ სტამბის ტერიტორიაზე არაფერი ისეთი რამ არ ვადარჩენილა, რაც აღადგენდა ნაგებობის არქიტექტურულ-სამშენებლო სახეს, პროექტში უნდა გამოყენებულიყო ყველა მონაცემი, კერძოდ: 1) მეფის ხელისუფლების საგამომძიებლო ორგანოების ნახაზები და განზომილებანი, 2) ორმოს მდგომარეობის ფოტოსურათი, 3) გასაბის ქ. № 4 ნაკვეთის თვალსაზრისით გადაღება, 4) ყანდარმთა სამმართველოს ცნობის ტექსტი, სტამბის არქიტექტურის შესახებ, და, რაც მთავარია სტამბის მშენებლობის მონაწილეთა — დ. როსტომაშვილისა და მ. მალრძის სიტყვიერი ჩვენებანი.

ამ მასალებისა და ორმოს დავალიერების საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ორი პროექტი, ერთი — სტამბის მხოლოდ მიწისქვეშა ნაწილის რესტავრაციისათვის, ზედა ნაწილი კი დაპროექტებული იქნა როგორც პავლიონი-მუზეუმი, ფორმათა სწორი ტრაქტოვით. მაგრამ ეს პროექტი უარყო საქ. კმ (ბ) ც-კმ და წინადადება მოვცა აღგედგინა სტამბის როგორც ქვედა, ისე ზედა ნაწილი.

ასეთი პროექტი ჩემს მიერ წარდგენილი იქნა².

1937 წლის 22 აგვისტოს გაიხსნა რსდმპ ავლაბრის ყოფილი არალევალური სტამბა. დამთავალიერებულთა ჩანაწერები აღსასცა მადლიერების გრძნობით ამ ძვირფასი ინიციატივის გამო.

² პროექტის სამუშაო ნახაზების დამუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ არქიტექტორები ი. ნ. ჩხენკელი, დ. ზ. ზედინიძე და ვ. ბლავაცო.



მ. ხაჩიძის

ბრინჯაო



ქართული სახალხო თეატრის წარსულიდან

ეპი კულულაშვილი



ახალხო თეატრების წარმოშობა ჩვენში მკიდრობს არის დაკავშირებული მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიასთან.

რევოლუციის განვითარებასა და მის საბოლოო გამარჯვებას მნიშვნელოვან ხელს უწყობდნენ სახალხო თეატრები, რომლებიც ასრულებდნენ, როგორც კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულების ასევე პოლიტიკური ტრიბუნის როლს. სახალხო თეატრების სცენაზე მეტწილად იდგებოდა შერჩეული რეპერტუარი („კაიხის ვარაზი“, „ღამარცხებულნი“, „ფსკერზე“, „ეკიმი შტოკმანი“ და სხვ.), სცენიდან ომანიანად გაისმოდა რევოლუციური იდეებით გამსჭვალული პიესების მოწოდება, რაც ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა და გამარჯვოლუციონერებელ ზეგავლენას ახდენდა მშრომელ მასებზე, ამზადებდა და რაზმავდა მათ მომავალი ბრძოლებისათვის. სახალხო თეატრების სცენიდან გადმოსრული ისტყვა გზას უნებოდა ახალგაზრდობას მომავლისაკენ.

არაღვალური მარქსისტული წრეების წევრთა ზეგავლენით თბილისის ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზის მთავარი სახელმწიფოს, ტრამვაისა და სხვა საწარმოთა მუშეები დასახლებულ რაიონებში (ნაძალადევი, ავლაბარი, ხარფუხი, ორთაჭალა, ნავთლული, ვერა, სახურთალო და სხვა.) მოწინავე მუშების ინიციატივით ასრულებდა სახალხო თეატრები.

ქრონოლოგიურად ყველას წინ უსწრებდა ვასო თველორავისი, ძნელაშვილის, იოსებ იმედაშვილის, გიორგი ჯაბაურის, დ. შველიძის და ა. ნიკოლოსოვის მიერ შექმნილი სახალხო თეატრი, რომელიც თავიდანვე ავტონომიური ტერიტორიის სახელით იყო ცნობილი.

ავტონომიური თეატრი, იყო, მართლაც ნამდვილი მუშური სახალხო თეატრი, ახალ ალიზარდა და დავაყვად მრავალი ისეთი კულტურული და პოლიტიკური მოღვაწე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის განაირა უბნების სახალხო თეატრების განვითარებაში, ხელოსანთა და მუშათა კულტურული და პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეში.

შემდგომ, თანმიმდევრობით, ავტონომიური თეატრის განვითარების და ტრადიციების საფუძველზე შეიქმნა და განვითარდა სახალხო თეატრების ქსელი თბილისის განაირა უბნებში.

მოსახლეობის უმრავლესი ნაწილის კულტურული დონის და საყოფაცხოვრებო პირობების სპეციფიკურობით ქალაქის სხვა უბნებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდნენ ავლაბარი, ხარფუხი, ორთაჭალა და ნავთლული, რომელთა მოსახლეობის შეადგენდნენ ქარხნების მუშეები უზან-უზან თანხებითა და ტაქით მოვაჭრე კონტოები, მიღლებიერი, ხელოსნები და მათი ოჯახები, რომლებიც კულტურული განვითარების მხრით ძალზე ჩამორჩებოდნენ თბილისის სხვა განაირა უბნების მოსახლეობას. ამ უბნების ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მოკლებული იყო ელემენტარული მორალურ შეგნებას. ამის გამო იზიარის მოვლენას როდი წარმოადგენდა მათ მხრივ ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების უკლებლელყოფა და დარღვევა, რასაც ბიძგ აძლევდა იმდროინდელი სოციალურ-ეკონომური ვითარება და სახელმწიფოებრივი წყობილება. არ მოიქმნებოდა საწვლელა და არ სჩნდა ხალხი, რომელიც მათზე ზეგავლენას მოახდენდა და იხსნიდა უბნებს სხვადასხვა ბოროტებისაგან.

დადა ცხრასიანი წლები, თბილისის ზემოხსენებულ უბნებში დაიწყო რევოლუციური მოძრაობა, სწორედ ამ დროს, ავტონომიური თეატრის მსგავსად, მოწინავე მუშების (ვანო იმედაშვილი, ვანო მჭედლიშვილი, ლევან პოლოსოვი, ბესო მაისურაძე და სხვა). ინიციატივით შეტანს კაპიტან მურაშკოს მიერ აგებულ შენობაში, 1902 წლის 10 ნოემბერს გაიხსნა თეატრი. პირველ ქართულ წარმოდგენად დაიდა ე. ანტონოვის პიესა „ქი მინა და კენინა ბავხედი“.

ავლაბრის, ე. წ. მურაშკოს სახალხო თეატრის ქართული დრამატული წრის პირველი რეჟისორი იყო ი. იმედაშვილი. წრის გამგებოში შედიოდნენ ადელხანოვის ქარხნის მუშეები იაკობ ნოზაძე, მიხი კივანაძე, სიმონ ბარათაშვილი, ვანო ქუთოშვილი და სხვები. სცენის მოყვარეთა პირველ წრეს შეადგენდნენ: (ქალები): მაკა ქართველიშვილი, თამარ აფხაზიშვილი, ნინო საყვარელიძე, ვარო ბარბარელი (ვ. მეგობრანიანი), ანა ჟურული, ლოზა მარანელი, თამარ თამარიანი, მარო ლულაშვილი და სხვ. (კაცები): ი. იმედაშვილი, ლევან ბაღაშვილი, ვანო იმედაშვილი, კოლა მეტრეველი, ვანო მჭედლიშვილი, ლევან პოლოსოვი, მიხილ და დავით გელაშვილი, რომანოზ სალაყაია, მიხილ ლელაშვილი, ვიკო ველიკურაშვილი, ალექსანდრე ბატიაშვილი, ვიკო ემანუილი, იოსებ რევაზიშვილი, ვანო მოსულოშვილი, სოსო ლოლაძე, ვაჟოშვილი (სადათანია), ივანე მაისურაძე, ძემბე მენთეშვილი და სხვ.

მშრომელი მოსახლეობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ მნიშვნელოვან წარმოწყობას და ხალხით იყო სიარული სპექტაკლებზე.

იყო შემთხვევები, როცა შინაურ წარმოდგენებსაც კი მართავდნენ. ბოლოს, პერიოდულად აწყობდნენ წარმოდგენებს იმ შემთხვევაში, როდესაც მურაშკოს, ანა არაქსიანის თეატრები, ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მოქმედებდნენ.

1903-1904 წლებში სცენისმოყვარეთა წრე გადავიდა არაქსიანის თეატრში, და იმ დროიდან წრის მუშაობას პერიოდული ხასიათი მიეცა.

1909 წლიდან, როცა არაქსიანიხელ თეატრში ჩამოყალიბდა ახალი ზელმძღვანელობა სიმეიშ მსახიობის ამო ხარაზიანის ინიციატივით, მუშაობა განაახლა ქართულმა დრამატულმა წრემ. წრეში შედიოდნენ: ვანო რჩეულიშვილი, მამუო და ვერა მარგველაშვილები, ანა კავთელი და სხვ. ვაგებინდა — ლევან ბაღაშვილი, რომანოზ სალაყაია, ვანო მჭედლიშვილი, შაქრო გომეშვილი, ბესო მაისურაძე, დავით იმედაშვილი, სანდრო ბაჯიაშვილი, ანდრო დავლიანი, ექტერ ბეკიჯანოვი, ვიკო ველიკურაშვილი, ვანო გიგოშვილი და სხვ.

1910 წლიდან წრემ შეეწყვიდა სისპეციფიკური მუშაობა თეატრში, მხოლოდ ხანგაშიშვებით იმართებოდა წარმოდგენები. მონაწილეობდნენ: დ. რჩეულიშვილი, ვ. ველიკურაშვილი, ა. კავთელი, ეპი კულულაშვილი, გ. პაიანიშვილი, რი ფიფოშვი, ვ. ყანჩაველი, იოსებ ხუციშვილი, ალექსი ხუციშვილი, ა. შერმაზანოვი, შ. მაისურაძე და სხვ.

1911 წელი ხარფუხში ვიორგი და არჩილ შაირიშივილების ინიციატივით დაარსდა ქართული დრამატული წრე, რომელიც წარმოდგენებს დაგამდა მესულმანთა აუდიტორიაში (ჯერ ბოტახიხურ ქუჩაზე, შემდგომ კი აბანოს ქუჩაზე, შოიციხეულ შენობაში).

წრეში შედიოდნენ დარო რჩეულიშვილი, მაკა ქართველიშვილი, ანა კავთელი, ვარო ჟურული, ვიკო ზარდალი-



შვილი, ვარო ჯორჯიაშვილი და სხვ. ვაყებიდან გიორგი, არჩილი, შალვა და ელიზბარ შათირაშვილები, გიორგი და პანტელეიმონ ბასტიანოვიძე, დ. მელაშვილი, გ. ფირუშოვი, ე. კულუაშვილი, გ. პაპინაშვილი, რ. ფირუშოვი, ი. მარკოზივი, ი. ხუციშვილი (გურჯაანელი), გ. ყანაგელი, გ. მეგლობლიშვილი, ს. ძამინაშვილი, გ. ოძელაშვილი, დ. ვილი, ლალი და ზურაბ მეტრეველები, ა. თითბერიძე, თ. ვაჟაძე, ლ. იოსებაშვილი, დიმიტრი და გიგია გორდაძეები, ს. ალავერდიანი, ა. შერმაზაშვილი, რ. ფაშაგვი, ზ. სვანიძე, კ. სიღრაძეშვილი, გ. ჯორჯიაშვილი და სხვა. დრავამოყვები მიწვეული მონაწილეობდნენ ი. გრიშაშვილი, გ. ჯაბურია და გ. ანაშვილი.

შემდეგ მურაშკის თეატრიდან ხარჯულის წრეში ვადმოვიდნენ ყარაშან და ნატაშა მეხუტაძეები, თეოფილაქ ქეკელი და მოსე ჯანელიძე. წრის რეჟისორად მოწვეული იყო სერგო ბუბანიძე. წრე მუშაობდა 1916 წლამდე.

1912 წლის თომა ნასიძის, ყარაშან მეხუტაძის, რომანოვ სალაყიას და ვანო მჭედლიშვილის თაოსნობით მურაშკის თეატრში ვანაღლა მუშაობდა, რომელიც 1915 წლამდე გააგრძელდა. წრის რეჟისორად მოწვეული იყო სოსო ივანიძე. წრეში მუშაობდნენ: დ. რჩულიშვილი, დემი მამო და ვერა მარგელაშვილები, გ. ქუჩუაშვილი, ზ. მახუტაძე, გ. ნიკოლოზი და სხვ., ვაყებიდან თ. ნასიძე, ზ. მახუტაძე, ყ. მეხუტაძე, რ. სალაყია, სოსო ჭივიძე, რ. ჯიბლაძე, გ. მჭედლიშვილი, ლ. ლეკავა, ს. სულთანიშვილი, თ. კეკელიძე, მოსე ჯანელიძე, ე. კულუაშვილი, ა. და თ. გიორიშვილები, გ. ჯანტულაშვილი, ზ. ლომთათიძე, გ. ქუჩუაშვილი და სხვა...

აღსაბარ-ხარჯულის დრამატული წრეები ურთიერთთან მჭიდრო — კამერში იყვნენ და საჭიროების შემთხვევაში დახმარებასაც უწევდნენ ერთმანეთს. ორივე წრე ვასელითი წარმოადგენებით ემსახურებოდა ორთაველ-ნათელულის რაიონებს.

აღსაბარ-ხარჯულის სახალხო თეატრების სცენაზე ხშირი იყო ქართველი პროფესიული მსახიობების გამოხატვა, ესთო აბაშიძის, ლალი მესხიშვილის, ვალერიან გუნიას, კოტე ყვიციანის, კოტე მესხის, ნუცა ჩხიძის, ელისაბედ ჩრეჩიხიშვილის და სხვათა მონაწილეობა სახალხო თეატრების სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში ნამდვილ ტიქუნებს წარმოადგენდა.

არანაკლებ სიხარულს იწვევდა სხვა სახალხო თეატრების (უფრო ხშირად ნამალადების) დრამატული დასების წევრების გამოჩენა აღსაბარ-ხარჯულის სცენაზე — სივონი სვიმონიძე, დავით ჩარკვიანი, ლოლაძე, სანდრო და სონა გოვაშვილები, პაველ ფრანგიშვილი, არზუმელაშვილი და სხვები აღსაბარ-ხარჯულის აუდიტორიების ხშირი სტუმრები, იყვნენ, ხოლო ოსტე გრიშაშვილი, გიორგი ჯაბურია და გრიშა ანაშვილი აღსაბარ-ხარჯულის სახალხო თეატრების განუყრელი სახარლოლორები!!

აღსაბარ-ხარჯულის სახალხო თეატრებში მომუშავე ამხანაგები სასცენო მოღვაწეობით არ ფარავდნენ თავიანთ მუშაობას. რა სახის კულტურული საქმიანობაც არ უნდა ყოფილიყო წამოწყებული ყველგან იღებდნენ მხურვალი მონაწილეობას, მაგალითად მათი ინიციატივით 1912 წელს მურაშკის თეატრში ქართულ დრამატულ წრესთან დაარსდა მომღერალთა გუნდი ვასო მათურაძის ხელმძღვანელობით. გუნდში მჭიდროდ აღსაბარ-ხარჯულის დრამატული წრის წევრები შედიოდნენ.

1913 წლის თებერვლისათვის ჩვენი ხალხი ემზადებოდა გამოჩენილი მსახიობის ლეონ-ალექსი მესხიშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე-სათვის.

ცნობილი კომპოზიტორი ა. სულხანიშვილი დავით (ნაპოლეონ) პავლიაშვილის დახმარებით, 1912 წლის შე-მოღვაწეაზე შეუდგა მომღერალთა გუნდის მომზადებას. მზადდებოდა ნიკო სულხანიშვილის მიერ ახლად დაწერილი და გამოუმუშავებული საკუნძო ნაწარმოებები: „სამ-შობლო ხეყარისა“, „მესტერული“, „გუგუნური“, „მამ-სარაჯველა ტკბილი სიციხელავი“ და სხვა. გუნდის შე-მადგენლობაში შედიოდნენ უმთავრესად აღსაბარ-ხარ-

ჯუხის ქართული დრამატული წრეების წევრები: ვანო შირიანი და მოგონების ავტორი.

გუნდის მცდელობებმა მიმდინარეობდა ავღაბარში, ხარინჯ კლესიის გზობი მდებარე სამრელო სკოლის შენო-ბაში, ხუთმაბას (სალამობით) და კვირა დღეს.

იუბილე დღე ახლოდღებოდა. მასხუსს, ერთ კვირა დღეს, ჩვეულებრივი შერგოვების ღრის ნიოსა და დათიკის (ნაპოლეონ პავლიაშვილი) თან-ხლებით ჩვენ გუნდს ეწვია გრძელი ოღნავ ჭალადამიანი შუახნის კაცი, ეს იყო ჩვენი სახელგანთქმული კომპოზი-ტორი დიმიტრი არაყიშვილი.

არ გაუგოლა ამ წუთს და ოთახის კარი შემოაღო სა-შუალოზე მაღალი ტანის ვაზნადანი, ჩოხიანა ვაჯაცმა თავზე გრძელწვეწიანი ქაღალდი; იგი მიესალმა ნიკო სულ-ხანიშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, დათიკო პავლიაშვილს და საერთო სალაშით მოგვამართა გუნდს. მისი ვარჯიშობა სტოვებდა ჩემზე ნაკნობი ადამიანის შთაბეჭდილება (ალ-ბა — სურათიდან), ნამდვილად კი ვნახე მხოლოდ პირველად და, სამწუხაროდ, უკანასკნელად. ეს იყო ჩვენი ნიკო სა-მაცე, ქართული პოეზიის ბუმბუტარაზი, მთის არწივი ვაჯა ვაჯეცელა...

ვაჯამ ვადსაცა ნიკოს კაბადინად დახვეული მცირე ქა-ღალდი — ეს იყო ოზბიარისადმი მიძღვნილი ლექსად დაწერილი ადრესი, რომელიც სიძულვითი შესარულა („იონურის სიმები გაუხის“ პანგზე) ჩვენმა გუნდმა.

ღალი მესხიშვილის ოუმლო ვადაცა ქართული კულ-ტურის და თეატრალური ხელოვნების ზეიშად, რომელიც დაკვირვინდა ხიჭიერა კომპოზიტორის ა. სულხანიშვი-ლის ასალი საკუნოდ ნაწარმოებების შესრულებით.

ახე ვრძელდება დრამატული წრეების მუშაობა ავ-ღაბარ-ხარჯუში 1917 წლის რევოლუციამდე.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, სახალხო თეატრ-ების მუშაობა მიმდინარეობდა მხოლოდ ზუბალაშვილისე-ული სახლში, ავღაბარის არაკონსისტენტულ და ნაძალადების თეატრებში. მის შემდეგ შეიქმნა ფაბრიკა-ქარხნებთან და საერთოდ წარმოებებთან მუშაობა კლუბები, რომელთა პროფილი თავისი კულტურისპირები მუშაობის რეალიზა-სებებით ბევრად გასწავლავდა წინანდელი სახალხო თეატ-რების მუშაობისაგან.

თუ წრეები თეატრების არსებობა დამყარებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხის მოწინავე შიშითა პირად თაოსნობაზე და მათ მიერ ვაღებულ მატე-რიალურ წყვილზე, დღეს ჩვენს ახალგაზრდობას მოგო-რება ყველა პირთა უფრო მეტი წარმატებით და ნაყოფი-ეობით ვახავრძის სახალხო თეატრების უფუძე-სანივადება დაიდა საქმე, თუ წინათ სახალხო თეატრები განიცდიდნენ დენვა-შევიწროებას, ახლა თვითმოქმედი თეატრალური შემოქმედება ისევე, როგორც ყოველი სახის მხატვრული თვითმოქმედება ეყრდნობა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციების სისტემატურ დახმა-რებას.

იმ ვარემოებამ, რომ რამდენიმე ათეული წლის მან-ძილზე ფრიად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეო-დნენ ისეთი მაღალი კულტურის თეატრალური კოლექტივები, როგორც არიან რუსთაველის, მარჯანიშვილის, ლალი მესხიშვილის სახელობის და სხვა თეატრები, მეტად ამაღ-ლა მაყურებელთა მასების მხატვრული გემოვნება და მომ-თხიერებლობა. განსაკუთრებით ეს ოქმის მუშაობა წრიდან გამოსულ იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც თეატრში მუშაო-ბის მოწოდებას ვიზონდნენ და თავის ნიჭს სცნენვე ცდილ-დნენ, მონაწილეობდნენ რა თვითმოქმედ დრამატულ წრეებ-ში. ახლად დაარსებული სახალხო თეატრების ძირითად ბირთვს სწორედ ეს ახალგაზრდები შეადგენდნენ.

სამარადისო სხოვა ადამიანებს, რომლებმაც უნჯარო ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით აღებეძეს სახალ-ხო თეატრის ისტორიის პირველი ფურცლები.

განახლებული სახალხო თეატრების ახალგაზრდა კო-ლექტივებს კი — ვუსურვოთ მშვენიერ, ხალისიანი და დაუმტკბელი ენერჯია საბჭოთა თვითმოქმედი ხალხური თეატრალური ხელოვნების აყვავებისათვის.

„კომუნისტი“

რამაზ კობიძე

...უსუფთაო და შეუხედავი სამიკიტნოს კედელთან რაღაც ძველდნების გროვა ყრია. მაყურებელს უჭირს ვარკვევა. თუ რა დანიშნულება აქვს მას, გაუგებარია, ვინ და-ყარა აქ ეს უსუფთაო ჩვრები, როლის ან ვინ აალაგებს და მიუყენს მათ შესაფერ ადგილს.

თუნდა. გარედან ცხენების ფლოკების თქარა-თქური და დილინების ეცვენების ქლარუნი მოისმის. გვერდით კა-რედან გამოიღოს ნამძინარევი, განრისხებული მიკიტანი ერემო პირტახია.

— ხრიკუნია! — შესძახა უცბა.

ჩვრების გროვა ფორმას იცვლის. წამი და მიკიტნის თვალწინ აღამიანი აღმართება, ისიც ნამძინარევი, მაგრამ არა მრისხნე, არამედ შეძრწუნებული და გონებადაბნე-ული.

— გამიგე, ვინ გამომჭრა ყელი, ვინ გააჩერა დილიჯა-ნი წითელ საბადლოსთან.

— ახლავე, ბატონო!..

იწყება სპექტაკლი „კომუნეთის ცისკარი“ მარჯანიშვი-ლის თეატრში.

იმ ორიოდ წუთში, რაც ფარდის აწვივდან გავიდა, უკ-ვე ბეჭი რამ შეიტყვედა: ხრიკუნია-მოჯამაგირე მეტი, რომ-ელსაც ახალგაზრდა მსახიობი მ. ბუგურიშვილი ანახიე-რებს, თავმოყვარე ბიჭი უნდა იყოს. მან რაღაც უკმაყოფი-ლოდ ჩაიბუტტუნა მიკიტნის შევიკრებაზე, მაგრამ თავ-მოყვარეობის ხმას იმზობს და მიკიტნის ემორჩილება, უჩიროდა და ლუქმა-პურს მიკიტნის დახლთან შოულობს, მიკიტან ერემოს კი თავისი სამიკიტნოს კედლებში შეუ-ზღუდავი ძალაუფლება გაანაჩნა. მაგრამ გარეთ არსებობენ ძაღლები, რომლებიც პირტახიას კეთილდღეობას წაუღებენ ემერტებათ.

სპექტაკლის დასაწყისი მრავალმნიშვნელოვანი და ნამ-დვილად რომანსულია. შეიძლება თამაშად ითქვას, რომ მაყურებელს აქვე უქრება ამ დიდი და მრავალმნიშვნელო-ანი რომანის სცენაზე გადახანის მარცხით დამთავრების შიში. სცენური დეტალებისა და მტრობების ლაკონიზმი, სიმკე-თრე და მრავალმნიშვნელოება დარბაზში ქმნის რწმენას, რომ სპექტაკლი საიმედო გზით მივამართება. ეს კი დამდგ-მელ ჯ. ლორთქიფანიძის პირველი მიღწევაა.

...სცენაზე დახუნდარა შემოდის. ერემო პირტახია მას შეიღოს წერილი უყთხავს, ამ დროს მაყურებლის წინაშე მთელი სივრცე-სივრცით იზღება ოცდაათიან წლების სუ-რათი — შავიციხის, კულაქთა და მიკიტნის ძრწოლის ავისმოლოების და ფერისცვალების ხანა. ჩვენ, ჯერ კიდ-ვე შორსულად, მაგრამ უკვე ვგრძნობთ და ვცნობთ იმ ძა-ღებს, გვესმის იმათი მაჯისცემა, ვინც პირტახიების კე-თილდღეობას მოსპობას უნდას. ჯერჯერობით ეს ყველა-ფერი ძველდნურად მიმდინარეობს — დეკლასირებული, ხედაცემული დახუნდარა პირტახიას სამეგობლად ხეცს ახალი დროის ახალგაზრდა მესაქეთა ლოზუნგს, მიმარ-ულებს მიკიტნების წინააღმდეგ პირტახიას დარწმუნებუ-ლია, რომ ყველაფერს მოვევლება, სხვა არა იყოს. ზოგი კომუნისტთაგანი „კაცური კაცია“. აი, თუნდაც სასოფლო-აღმასკობის თამაჯდომარე ტუნა დაშინაი როჯორ დაბა-დლის ერემოს საჭირო საბუთებს, ერემო სოფლის დარბა-თა კრებაზე არ უშვებს მექის, რომელსაც მოჯამაგირეს კი არა „ფილოზოფი“ უწოდებს. თვითონ მეტი კი ვერჯერობ-ით ვერ ხედავს, ვერ გრძნობს იმ ძაღლებს, რომლებზე და-ყრდნობითაც თავს დაიხსნადა მიკიტნის ბრჭყალებიდან... სურათი იცვლება. სცენაზე, ხაჯოშიას მეთაურობით სო-

ფლელი ავარები შემოიჭრებიან: იმართება შიდაობა. აქ მე-ტი სახე კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მტრის იძენს ბოგანი მოჯამაგირეს უანგაროდ, თავდავიწყებით უყვარს კულაქ ბარნაბ საჯანელიძის ქალიშვილი თალიკო, მის სა-ამებლად ცეცხლშიც კი ჩადგება. მაგრამ მეტი პოლიტიკურ-რად იზღვება შეზღუდული და ჩლუნგია, რომ სჯერა — თალიკოს გულის მოსანადირებლად სიყვარულის და წმინ-და დამოკიდებულების გარდა აღარაფერია საჭირო.

ამავე დროს სცენაზე ერთი საყურადღებო ამბავიც ხე-და — თავს იჩენს კულაქ ბარნაბა საჯანელიძესა და სოფ-ლის კომუნისტების მდივის ტარასი ხაზარაძეს შორის არ-სებელი კლასობრივი ანტაგონიზმი. ჩვენ გვხვდავთ, რომ ეს ორი აღამიანი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან და მათ შორის რაიმე კომპრომისის შესაძლებლო-ბაზე ფიქრიც კი ზედმეტია. იმასაც გვხვდავთ, რომ საჯანე-ლიძე აღამიანურობის საბურველით ფრავს თავის მტრულ დამოკიდებულებას ტარასისადმი. თუმცა ეს დარბაისლურ-ში შესახებდაობისა და ქვევის კულაქი თავს ჯერ კიდევ სა-კმარისად ძლიერად გრძნობს, რომ ხაზარაძეს ქველ არ მო-უხაროს. ტარასი ხაზარაძე კი დაურიგებლად მტრობას იჩენს კულაქისადმი, და გვესმენება, რომ მათ შორის მალე სამეკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლ გაიმართება. სხვა გზა კი არ არის.

სპექტაკლის დამდგმელმა ჯ. ლორთქიფანიძემ ერთი მოქმედების მანძილზე სცენაზე გამოიყვანა და საკუთარი სამოქმედო ხაზი მიუჩინა სპექტაკლისა და რომანის ყვე-ლა მთავარ გმირს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გე-ჯისორის ოსტატობა მექის სახის ჩამოყალიბების მიმართ. ყოველი პერსონაჟის, პერსონაჟთა ყოველი ჯგუფის ფილო-სოფია და საზოგადოებრივი წარშობი ბოლოსდაბოლოს მე-ქის პიროვნების პირობაში ტყდება. მსახიობ მ. ბუგურიშვი-ლის როლი სიტუაციარაგობით არ გამოირჩევა, მაგრამ მე-ქი ყოველთვის იმ მომენტში გამოიღოს სცენაზე, მაშინ იღებს ხმას და ერევა მოქმედებაში, როცა ეს ახალ თვისებებს შე-სძენს მის სახეს, განსაზღვრავს მის აღამიანურ არსს და გარშემო ყოფთა მისადმი დამოკიდებულებას. ჩვენს წინა-შე მთელი სიძლიერით და კოლორიტულით წარმოისა-ხება ბოჯავო მოჯამაგირის, პოლიტიკურად ბეკი და, ამა-ვე დროს, ღრმა აღამიანობით აღსავსე, გულთბილი, ალალ-მართალი და თავდავიწყებამდე შეყვარებული სოფელი ახალგაზრდის სახე, რომლის გარშემო სამეკვდრო-სასიცო-ცხლო ბრძოლისთვის ემზადებიან დაპირისპირებული სო-ციალური ძალები.

თავდაპირველად მექი ამ ბრძოლაში ჩარევს არ აბი-რებს. ეს გაპრობოტებულია მისი პოლიტიკური სიძლიერით. და ეს საშუალებას აძლევს სპექტაკლის დამდგმელს, რომ-მანის კვალდაკვალ, ერთხელ კიდევ დაანახოს მაყურებელს სოფლის რეკონსტრუქციის შემაზრუნენ სურათები.

მაყურებლის წარმოდგენაში ერთდროულად მიმდინა-რეობს ორი პროცესი — სოფელი კომუნურენობის ჩამო-ყალიბებისათვის ტარასი ხაზარაძის ბრძოლა და მექის სწრაფვა საკუთარი კეთილდღეობის შექმნისათვის მოჯამა-გირეობის „კაპივის კაპივე“ დაღების“ გზით. მექის ტრა-გედითი ლოქმუნებულობა, დარწმუნებულობა ამ ტრაკიების შინაგან თვითმკვლელობაში, ჩვენ თანაგრძნობის ვისმეკლდე-ბით იმ „ჩამოკეცილი“ გულმოსაღმის, რომლებიც შეერ-თებულად ძალით აპირებენ სიღუბნის დაბრუნებას, ვრწმუნდებით ტარასი ხაზარაძის კლასობრივ და ისტო-რიულ სიმართლემ.



ტარასი ხაზარაძე — ალ. ომბაძე

ამის შემდეგ კონკრეტულ საზოგადოებრივ შინა რსს იძენს ბარნაბა საჯანელიძის, ერ ე მ ო ნორტახისა და მათი დამკაშვების ბრძოლა ტარასი ხაზარასის წინააღმდეგ. ამ მომენტისა და ნიდა ბ ი ეხსენება კულაკების, მათსაკუთრებით კი მათი წინამძღოლის, ბარნაბა საჯანელიძის „ადამიანურობა“ და „სიღარბაისლე“¹. აქედან მიყოლებულად სექტა კლის დასასრულამდე უკვე ნათელი ქვეტექსტი ექმნება ბარნაბა საჯანელიძის „გულისწულ ხ ი ლ ს“ თანასწოვალთა სიღარბის გამო, მის

ხრიკებს მართა გორდაძის მიმართ, მის „თამბორი“² დარდს ქალიშვილის — თალიკოს ბედზე. ამ გზითაა დაძლეული მთავარი სიმწლე, რომელიც სექტაკლის დამდგმელს ელოებოდა.

საქმე ის არის, რომ რომანის უარყოფითი პერსონაჟები და უმთავრესი მათ შორის — ბარნაბა საჯანელიძე, არამც თუ მოხერხებულად ფარავენ თავიანთ დაბოილებულბას ღარბი თანასოფლელებისადმი, არამედ შინაგანად ურყევად არიან დარწმუნებულნი, რომ მათ მსოფლგაგებასა და მოქმედებაში საძრახისი არაფერია. ბარნაბა საჯანელიძე თავის თავს გლეხების მტრად კი არ თვლის, არამედ იდეალად. იგი დარწმუნებულია, რომ ყოველი გლეხს მხოლოდ ერთი მისწრაფება შეიძლება ჰქონდეს — ყველაფერში ბარნაბს დაეხმავასოს.

ბარნაბას სახის სრულყოფილად გამოძერწვისათვის სექტაკლის დამდგმელმა მსახიობს შეუქმნა სრული შესაძლებლობები, რომლითაც შესანიშნავად სარგებლობს გ. კოსტავა. კოსტავა-საჯანელიძე ყველაზე სრულყოფილი, ურყევი შინაგანი ლოგიკით და ამასთან არტისტული ტექნიკისა და გამომხსენებლობის სრული შესატყვისობით აღზეჭლილი სახეა სექტაკლში. მას ადამიანის შეტკობაზე შეუძლია და სასიკვდილო განაჩენის გამოტანაც. თავისი

უსულებებისათვის ბრძოლაში ერთნაირი დაურქმელებლობა იყენებს ღარბი, გაუთვითცნობიერებელი შეზობლების ნდობას და ტყუილ გავარდნილ ყარასაც, რომელსაც ჩვეულებრივ საღამოსაც არ აღირებს. ბოლოსდაბოლოს თავის-თავში დარწმუნებული, ზრდილი და დარბასივლი კულაკი გააფორებულ მხეცად და კაცისმკვლელად იქცევა. გ. კოსტავას ყოველი რეზოლიკა, ყესტი ამ უფსკრულისაკეი მიმავალი გზის ნიშნსვენებია...

ტარასი ხაზარაძემ, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალ. ომბაძე ანსახიერებს, მოიკრიბა და გააერთიანა თავის ვარშემო სოფლის ღარბი გლეხები. ზემოციხეში საფუძველი ჩაეყარა კოლექტიურ შრომასა და ცხოვრებას. სუთიოდ გულხმა — მათ შორის ზოგიერთმა დიდი ყოყმანის შემდეგ — ხელი მოაწერა არტელის წესდებას. ახლა საქმე დანარჩენებზე, სოფლის საერთო კრებაზეა. მოპირდაპირე სოციალურ ძალთა ჭიდილი აშკარა ფორმებს იძენს და კულმინაციურ წერტილს აღწევს.


ამ მომენტისათვის ორივე არბის სარდალმა იცის, რომელი ჯარისკაცებიან რას უნდა მოელოდეს, რის იმედი უნდა ჰქონდეს. ერემო პირტახია, ხაკომია და მათი დამკაშნი, ასევე დახუნდარაც, რომელიც ერთ ჭიკა ღვინოში ცვლის თავის „პლატფორმებს“³, უყუყმანოდ ემხრობიან ბარნაბა საჯანელიძეს. მათ მხარეზეა მოტყუებული და მოქრთამული ღარბი მართა გორდაძე და გლეხურ წერილმესაკუთრულ გულში მწვავედ დაკოილი ნესტორ ვარდოსანიძე. ბარნაბას პოზიციებს სწორედ ეს ორიი ამაგრებენ. განსაკუთრებით კი მართა, რომელიც „ღარბია, მაგრამ კოლექტივი მაინც არ უნდა“⁴. მათზე დაყრდნობით ბარნაბას არაერთი და ორი ღარბის მიმხრობა შეუძლია. სენა, რომელიც ბარნაბა კრებაზე მიმავალ თავის დამკაშვებს უკანასკელ დარიგებებს აძლევს, აღსაკუთრდა სოციალური აზრით, იგი ბიუსში ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი და მრავალმნიშვნელოვანია.

იცნობს თავის ჯარისკაცებს ტარასი ხაზარაძეც. იცნობს და ენდობა, თუმცა იცის, რომ ზოგიერთს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი ყოყმანისათვის. სიმაჯიურ ტარასის მხარეზეა, ეს მან იცის და ალ. ომბაძე ხაზგასმით და დამაჯერებლად გადმოგვცემს ამას. მაგრამ ტარასიმ არაფერი იცის იმ ხრიკის შესახებ, რომელიც მას ბარნაბა საჯანელიძემ მოუშუადა. არ იცის, რომ კრებაზე მის წინააღმდეგ მართა და ნესტორი გამოვლენ, სწორედ ისინი, ვისი კეთილდღეობისთვისაც იქმნება კოლექტივი.

მაყურებელი გრძობის გადამწყვეტი მომენტის მოახლოებას. ამ დროისათვის მექმი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გაიარა თავის ცხოვრებაში. მაყურებელი მოელის, რომ ტარასი ხაზარაძეს კრებაზე მხსნელად სწორედ მექმი მოელონება — მოუამაგირე მოწმე იყო კულაკთა შეთქმულებისა.



მარცხნიდან მარჯვნივ: თალიკოს — ნ. დ. შალვაშვილი, ასლან მარგველიძე — ზ. ინ-სკარელი, მექი — მ. ბებუროვილი



მეტი ამართლებს მოლოდინს. მისთვის ტყუილ-უბრალოდ არ ჩაუვლია ცხოვრებისეულ გაკვეთილებს. მეტი-ბებური-შვილის კრებაზე მიფარდა, მის ძიერ ბარნაბას ბნელი საქმეების გამომხატურება, თვითონ სკენის უბიზოდი შესანიშნავად დაუმუშავებია რეჟისორს. ცენსურზე უამრავი ხალხი ირევა, ყველა ადგუნებულია, მათ ყვირილსა და შეძახილებში ხშირად სიტყვებს ვერცხი გააჩრეთ, მაგრამ ყოველი მოქმედი პირი მაინც იხარხარებს და ავლენს საკუთარ ინდივიდუალობას, თავის მთავარ სოციალურ მრწამსს, ნიჟანს.

კოლექტივის იდეის გამარჯვება უდაია. იგი განხირობებულია ცხოვრების ლოგიკით, რომელიც საექტაკლში ხორცის ისხამს მხატვრულ, მეტად კოლორიტულ და დამაჯერებელ სახეებში. სწორედ ამიტომ გვეჯერა ამ იდეის გარდუვალობა.

...საექტაკლე გრძელდება. კულაკები დამარცხდნენ სოციალურად და პოლიტიკურად. სიფილი ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაება. უსახლკარო და უთვისტომო მოუპაპავი რე მეტი შრომელი კოლექტივის სრულუფლებიან წევრად იქცა. მაგრამ როგორი იქნება ამის შემდეგ, თალიკოსა და მეტის ურთიერთობა? თალიკო ხომ თავისი კლასის ერთგულად რჩება. როგორ შეხედავს ამას მეტი? მას ხომ ჯერ კიდევ უყარს თალიკო.

მეტი უფლებულ შარავაზე, შუადღისას, ბარნაბა საგანელოდის განძით დატვირთულ ურემთან, რომელშიც „ავად მყოფი“ თალიკო წევს, მეტი სამუდამოდ ეთხოვება თავის ახალგაზრდულ ილუზიებს. სწორედ ის ბოჯანი, რომლის ტანისამოსიც საექტაკლის დასაწყისში უსუფთაო ძველმანების გრავის მოგვაგონებდა, ახლა შეჩვენებას უთვლის ძვირფას კაბებში გახვეულ, თვალმარგალიტით უბედამძიმებულ თალიკოს და ლალი, თავისუფალი სამუდამოდ უბრუნდება სოფელს. მეტი მორალურად იმარჯვებს თალიკოსთან ორთაბრძოლაში. ხოლო შემდეგ, როცა ტარასი ხაზარაძე მტრის ტყვიით განგმირული ეცემა, მეტი უკვე თანასოფელთათვის და მაყურებლისთვისც ერთ-ერთია, ვინაც თამამად შეიძლება ვანდოთ სოფლის მესაპის როლი.


მარჯანიშვილის თეატრმა სრულყოფილი სცენური ფორმა მოუძებნა კ. ლორთქიფანიძის რომანს. საექტაკლში სრულად არის გადმოტანილი რომანის იდეურ-მხატვრული არსი, შენარჩუნებულია კუთხური კოლორიტი და მოქმედი პირთა ინდივიდუალობა. საექტაკლის დამდგმელის, რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის ამ ნამუშევრის მთავარი ღირსება უბრალოებაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ საექტაკლის დადგმით გ. ლორთქიფანიძემ ყველა რეჟისორის ოცნება განახორციელა. საექტაკლი ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მიმდინარეობს და არსად რეჟისორის „ხელი“ არ შემოხწევა. მოქმედი პირები სიმრავლის მიუხედავად, შე-



სცენა საექტაკლიდან „კოლხეთის ცისკარი“. ბარნაბა საგანელოდ — გრ. კოსტავა, ერემო პირტახია — რ. ხოზუა

სანიშნავად არიან ორგანიზებული, ყოველ მათგანს სრული შესაძლებლობა აქვს საკუთარი ინდივიდუალობისა და, საექტაკლის საერთო ქსოვილში, საკუთარი ადგილის გა-მოსავლიზებულად. საექტაკლი რიტმული, და თუ შეიძლება ასე ითქვას, „ჩქარია“, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. იგი აღსავსეა ნამდვილი ხალხური გონებაშეხილობით, იუმორით.

თავისთავად ცხადია, რომ როლებს შემსრულებელთაგან ყველაზე რთული ამოცანა ბ. ბებურიშვილის წინაშე იდგა. მას ახალგაზრდა მსახიობმა უშველი წარმატებით გაართვა თავი. უნდა ითქვას, რომ ბებურიშვილის სახეში მაინცდამაინც არ იგრძნობა გულგრილი უძრავობა და შეზღუდულობა, მაგრამ მსახიობმა შესული დანაჯრული, აბუნად ავადებული მოუპაპავის პიროვნებაში დამალული თავმოყვარეობისა და სიამაყის, ადამიანური სითბოს და ააღლმართლობის გამომხურება. მსახიობი კოლორიტული შტრინებით გადმოვეცემს ბოჯანოს ევოლუციას, მის ამაღლებას კოლმეურნეობის შეგნებულ წევრად. ბებურიშვილი-მეტი ბუნებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები დამაჯერებელია. განსაკუთრებით მკაფიო შტრინები მოუ-



მარცხნიდან მარჯვნივ: დახუნდარა — კ. ხიზუა, ხაქოპია — ელ. მაქალაშვილი, ტუჩა დაშინაი — ვ. კობახიძე



ნახავ მსახიობს მექის თაღობოსადმი სიყვარულის გადმოსაცემად. ოღონდ სასურველია, თუ მსახიობს თავს დააღწევს იმ ზედმეტ თეატრალიზმს, რომელიც აქა-იქ თავს იჩენს. აქვე გვსურს, მექის სახესთან დაკავშირებით, ერთი შენიშვნა მივცეთ გ. ლორთქიფანიძეს — ყოველდღე გაუმართლებელია მექის სცენაკაოდ გამოჭრა პირველი მოქმედების დასასრულს. ეს არაფერს მატებს სახეს და, მასთან, მის თავმოყვარე ბუნებასთან აშკარა წინააღმდეგობაშია.

სინტერესო სახეა რ. ხობუას მიერ შექმნილი ერემო პირტახია. ეს მიკატანი ბარნაბა საგანდღემივე უფრო პრიმიტიული პიროვნებაა, უფრო გულახდანი თავის სიმუნავეში, აკლია ენერჯია, მოქნილობა. ხობუას მკაფიო და ზომიერი შტრიხები მოქმედებია პერსონაჟის გასაცოცხლებლად. მაყურებელი ხედავს, რომ ერემო, შეიძლება ტკუთი ჩამოუვარდეს ბარნაბას, მაგრამ მასაფით გამუმადარია და დაუნდობელია. ოღონდ ეს არის, რომ ზოლი მოქმედებაში ერემო პირტახია უკვალოდ ქრება, და ეს სექტაკლის საგრძნობი დანაკლისია.

ორმავე დამოკიდებულებას იწვევს გ. ნინუა-დახუნდარა ტურაბელიძის როლი. მსახიობს სწორედ აუჯია დეკლამაციული, სპოლორიდ დაცემული ადამიანის ბუნება, რომელსაც ერთადერთი ადამიანური გრძნობა შერჩენია — მექისადმი სიმპათია. ეს გრძნობაა, დახუნდარა რომ ბოლოს და ბოლოს გზას უნსნის ახალი ცხოვრებისაკენ. მსახიობმა კარგად გადმოგვცა ისტორია ადამიანისა, რომელიც თავისი კეთილდღეობის მოწყობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზეკლასობრივი“ გზით აპირებს. ამდენად ლოგიკური და დამაჯერებელია დახუნდარას გამუდმებული მარცხი და ხელისმომკარება. მაგრამ ნინუას შესრულებაში ბევრი „თამაშია“, როლს უბრალოება აკლია.

